მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. #73

ს.კ. 234232149

მომსახურე ბანკი: ს.ს.“ლიბერთი ბანკის“ მარნეულის ფილიალი

ბანკის კოდი 220101408

ა/ა GE22LB0120166049432000

ქ. მარნეულში სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა.

საკონკურსო განცხადება

2012 წელი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საკონკურსო განცხადება

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აცხადებს კონკურსს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტია: ქ. მარნეულში სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად – 5 (ხუთი) ეზემპლარად.

3. დაფინანსების წყარო: 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს : 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: მიმდინარე წელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

5. **კონკურსში მონაწილეობის საფასური**

5.1. კონკურსში მონაწილე პირი, საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი 50 (ორმოცდაათი)ლარის) ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე **(www. Procurement.gov.ge).**

5.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

კონკურსანტის მიერ ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევში, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს , არ განიხილება.

6. **კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 14 სექტემბერი 12 საათზე.**

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის **14 სექტემბერი 12** საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მარნეული, რუსთაველის #73, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების, ინფორმაციის და საგარეო ურთიერთობების სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. (პირველი სართული), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები, დღგ–სა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 დღის განმავლობაში.

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს**:

იურიდიული პირისათვის :

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ფიზიკური პირისათვის :

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).
ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თვიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. **აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.**

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

8. კონკურსანტმა პირველ ეტაპზე უნდა წარმოადგინოს:

1. არქიტექტურული პროექტი;
2. ტოფოგრაფიული გეგმა;
3. გათბობა – ვენტილაცია–კონდიცირება (პროექტი);
4. ხარჯთაღრიცხვა (მიახლოებითი);
5. ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;
6. რეკვიზიტები.

9. მეორე ეტაპზე წარმოსადგენია:

1. გეოლოგია;
2. საპროექტო დასკვნა (შენობის მდგრადობაზე);
3. კონსტრუქციული ნაწილი;
4. ლოკალრი ხარჯთაღრიცხვა.

10. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ , ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

11. კონკურსი ტარდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებისგან , საკონტაქტო პირები: ზანდა კვანჭიანი , zkvanchiani@yahoo.com. ტელ: 0 357 22 52 15

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

„ “ 2012 წ.

ერთის მხრივ **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **ისპანდიარ ქერიმოვის** სახით და მეორეს მხრივ ———— (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და მიმწოდებლის (————) საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

1.6. “ტექნიკური დავალება”– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ქ. მარნეულში სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს:

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ——————. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

6. შემსყიდველის მხრიდან “მიღება-ჩაბარების” აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი (——)

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს (————)

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრუელების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების '

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

15.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირეულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

15.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

16.2. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლები 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30.10.2012 წ-მდე.**

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:
მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73
ს.კ. 234232149
მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი; ბანკის კოდი 220101408; ა/ა GE22LB0120166049432000;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

_____ /ი. ქერიმოვი/

(ბ.ა.)

მიმწოდებელი:

დირექტორი:

_____ /

(ბ.ა.)

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საკონკურსო წინადადება

თარიღი: ——————— წ.
(კოკნკურსის ჩატარების თარიღი)

ვის:

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტი თვითმმართველობას</u>
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: ——————————————————
(კონკურსანტის დასახელება)

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ ——————————————————და
(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად : ——————— ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ ——————— გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და
(მომსახურება)
დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (,,შემდგომ ხელშეკრულება) ძალაში შესვლიდან ——————— დღის განმავლობაში.
(დღე, თვე,წელი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია ———— დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: ——————.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა, ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესხებ'' დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional